საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა № 002563/ო

შედგენის თარიღი: 16.08.2021 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

ობიექტის დასახელება: შპს "Iberia Food Company" ს/კ 404992273
დირექტორი: [redacted]
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, [redacted] **კორპუსი № 14, ბინა № 1.**
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, **ქ.12** დავით გამრეკელის/ცინცაძის
დასაქმებულთა რაოდენობა: 39 პირი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N01-42/ო-ს საფუძველზე ქალაქ თბილისში, შპს „Iberia Food Company“-ში სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლების მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების მიზნით 2021 წლის 5 აგვისტოს განხორციელდა ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დასაქმებულებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შპს ,,Iberia Food Company“ წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტს, რომელშიც მდებარებს მომხმარებელთა კვებისთვის განკუთვნილი საერთო სივრცე, შეკვეთის მისაღები და მზა პროდუქციის გასაცემი სივრცე, მზა პროდუქტების (ნახევარფაბრიკატების) მომზადების სივრცე, საწყობი, დასაქმებულთა გამოსაცვლელი ოთახი, მენეჯერის ოთახი და სველი წერტილი. მოხდა აღნიშნული სივრცეების დათვალიერება, ფოტო-ვიდეო გადაღება, ადგილზე არსებული დოკუმენტაციის გაცნობა.

ობიექტზე ჰყავთ ბრძანებით დანიშნული აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტი, პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შესახებ, რომელიც შემუშავებული იქნებოდა საწარმოო პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით და მიმართული იქნებოდა დასაქმებულების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკების შემცირებისა და მათი აღმოფხვრისაკენ, არ არის ხელმოწერილი და დამტკიცებული დირექტორის მიერ.

ობიექტს არ გააჩნია საფრთხის იდენტიფიცირების და რისკების შეფასების სისტემა და შესაბამისად არ ხდება საფრთხის შემცვლელი ფაქტორების ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით.

დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ჩატარებული ტრეინინგების დოკუმენტაცია არასრულყოფილია, კერძოდ:

წარმოდგენილ დოკუმენტში - „სამუშაო ადგილზე ჩატარებული ინსტრუქციის რეგისტრაციის ჟურნალი", შეუძლებელია დადგენა კონკრეტული თემატიკის, საკითხის, სფეროს, მიმართულების რომელთან დაკავშირებითაც ჩატარდა ინსტრუქტაჟები დასაქმებულთათვის.

არაელექტროტექნიკური თანამშრომლებისთვის პირველი დონის ელექტროუსაფრთხოების მინიჭების აღრიცხვის ჟურნალში თითქმის ყველა თანამშრომელს აქვს ხელმოწერა დაფიქსირებული, მათ შორის გუნდის წევრებს, ცვლის მენეჯერებს, ტრენერს, სკაუტს, ცვლის მენეჯერს, დ.მოადგილეს, აღნიშნული ტრეინინგი ჩაატარა შრომის უსაფრთხოების მენეჯერმა - სერგო ვოლოჩინმა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ დასტურდება რამდენად აქვს მას შესაბამისი კვალიფიკაცია, სხვა პირთათვის პირველი დონის ელექტროუსაფრთხოების კვალიფიკაციის მინიჭებაზე. პერსონალს არ აქვს გავლილი სწავლება პირველადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. არ არის შემუშავებული და პერსონალისთვის უცნობია საგანგებო სიტუაციების და ავარიის დროს სამოქმედო გეგმა.

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროფილაქტიკურ-ტექნიკური სამუშაობის ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რესტორანში დამონტაჟებული Franke-ს მიერ მოწოდებული დანადგარები არის უსაფრთხო გამოყენებასა და მოხმარებისთვის, დასკვნა წარმოდგენილია ფირმა ,,TSS''-ის ელექტრიკოსის მიერ, რომლის კვალიფიკაციის შესახებ არანაირი დოკუმენტაცია არაა წარმოდგენილი. ამის გარდა ადგილზე დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ არის მითითებული კონკრეტულად რა პარამეტრების მიხედვით შემოწმდა და დადასტურდა, რომ ექსპლუატაციისთვის ვარგისია ეს დანადგარები. აღნიშნულ ობიექტზე Franke-ს ფირმის გარდა არის სხვა ფირმის

ელექტრო დანადგარებიც, რომელთა უსაფრთხოებაზე დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოადგენილი.

ობიექტის დათვალიერებისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სამზარეულოს ტერიტორიაზე მდებარე ღია ღუმელიდან იღვრებოდა ზეთი იატაკზე, სადაც დასაქმებულები გადაადგილდებოდნენ, რაც ფეხის აცურების საფრთხეს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ მექანიკოსმა აგვიხსნა, ხდებოდა აღნიშნული ღუმელის შეკეთება, არსებული საფრთხის აღმოსაფხვრელად/შესამცირებლად არანაირი პრევენციული ღონისძიება არ იყო მიღებული (სულ მცირე მაფრთხილებელი ნიშანი); ამავე სივრცეში მდებარეობს კამერა მაცივრები, სადაც დასაქმებულებს უწევს შესვლა პროდუქციის გამოსატანად, აღსანიშნავია, რომ ტემპერატურათა სხვაობა სამზარეულო სივრცესა და მაცივრებს შორის 30 ^{0} C კი აღწევს დასაქმებულთათვის არ არის გამოყოფილი სპეც. ტანსაცმელი; მოსაწესრიგებელია ერგონომიკა მაცივრებსა და გასახდელს შორის არსებულ სივრცეში, კერძოდ იქ დასაწყობებული პროდუქცია ხელს უშლის დასაქმებულთა გადაადგილებას; საევაკუაციო გასასვლელი კარი არის ჩაკეტილი, ჩაკეტილ საევაკუაციო კარს მიღმა მოსაწესრიგებელია საევაკუაციო/ავარიული გასასვლელი, რომელიც ჩახერგილია სხვადასხვა ნარჩენებით და საგნებით ამიტომ სამზარეულოს სივრციდან საავარიო გასასვლელი არასწორად არის მინიშნებული;

ობიექტზე სრულყოფილად არ ხდება სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვა (ე.წ. საწარმოო ტრავმატიზმის აღრიცხვის ჟურნალი).

ობიექტმა ვერ წარმოადგინა სამუშაო ადგილებზე ტემპერატურისა ფარდობითი ტენიანობის გაზომვის დოკუმენტაცია. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით არ ხდება საწარმოო ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა) გაზომვა და შეფასება. ასევე არ არის დაგეგმილი შესაბამისი ღონისძიებები რათა ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა საფრთხე არ შეუქმნას როგორც დასაქმებულებს ასევე სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

N	**გაცემული მითითება**
1	საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე. კერძოდ: გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები;

	გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ; შეფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები; გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად; აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები; *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1, „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.*
2	განსაზღვრეთ დასაქმებულების სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდეთ ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების, მანქანა-დანადგარების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სამუშაო პროცედურების, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, მე-2, 3 პუნქტები.*
3	ობიექტზე ერგონომიკა არ შეესაბამება სამუშაო გარემოს მოწყობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ: სამზარეულოს ფართი, სამუშაო ადგილები გადატვირთულია ნედლეულით, მარაგებით და ინვენტარით, რითაც იზღუდება დასაქმებულთა თავისუფალი გადაადგილება. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი1, ქვეპუნქტი „ი“*
4	დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (თერმომედეგი სპეც. ტანსაცმელი ფეხსაცმელი, ხელთათმანი თვალისა და სახის დამცავი საშუალებები, დამცავი წინსაფარი.). უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი ახლით. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.*
5	ობიექტზე აღრიცხეთ უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებები და საშიში შემთხვევები . *საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5. პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი*
6	შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ შემოწმების დოკუმენტირება.

	საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1 „ვ.ა“ ქვეპუნქტი.
7	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა) *საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, „ზ.ა“ქვეპუნქტი.*

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 25 (ოცდახუთ) კალენდარულ დღეს.</u>

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted]

მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის განყოფილების, უფროსი [redacted] სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შრომის ინსპექტორ[redacted]

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.

ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

_____

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

_____

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

საათობრივი დამრღვევი:

მინდორი ლი [redacted]

ხელმძღვანელი [redacted]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 002563

16 აგვისტო 2021 წ.

ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მერი [redacted] უფროსი სპეციალისტი (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „Iberia Food Company" ს/კ [redacted]992273, ქ. თბილისი დიღომის სასწავლო სადღეო მეტრო, კორპუსი №14, ბ.№1; ქ. თბილისი დ. გამსახურდიას/ცინცაძის ქ. №12; დირექტორი ნიკოლოზ სეფხალაძე; ტ: 599952444

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

ქ. თბილისი დავით გამყრელიძის/ცინცაძის ქ. №12; 2021 წლის 05 აგვისტოს ტანსაცმლის ატელიე მისამართზე მოეწყო შპს „Iberia Food Company"-ს წარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, შემოწმების ჩატარება, რომ დასტურდება საქმიანობის ოფიციალური კანონი „ა", „ბ", „გ", „დ", „ე", „ვ" ქვეპუნქტები, მუხლი 5 მ-2, მ-3 პუნქტები, მუხლი 6 პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი", /მუხლი 6 პუნქტი 3, „ზ" ქვეპუნქტი და მუხლი 5 პუნქტი 1, „ბ" ქვეპუნქტი. მუხლი 5 პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. მუხლი 5 პუნქტი 1, „ბ" ქვეპუნქტი. მუხლი 5 პუნქტის 1, „ბ" ქვეპუნქტი.

5. დარღვეულია საქართველოს ოჯახური კანონი „ქორწინების ოჯახურის შესახებ" მუხლი 23, პუნქტი 1.

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 25(ოცდახუთი)დღე

7. სახელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] /[redacted]/

11. სამართალდამრღვევი: [redacted] /[redacted]/ (მინდობილი პირი)

სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: _____ /_____/

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ /_____/

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: მიმიმიერა;

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა:

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური."
დამამზადებელი: შპს კაბადონი +
სემგს-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის **ან/და** საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.